



# ახალი განათლება

21-27.05.2020

№18 (892) განთავსებულია 1998 წლიდან

[www.akhaliganatleba.ge](http://www.akhaliganatleba.ge)

## 2 მაისი



თბილისი. 1919 წელი. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლისთავის საზეიმო აღნიშვნა. ტიბუნაზე დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ): მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიანი; ბიუტანეთის უმაღლესი უომისაჰი, პოლკოვნიკი ელოდ ბუიფილდ სტოქსი; საფხანგეთის უმაღლესი უომისაჰი აბელ შევარი; პოლკოვნიკი დიპლომატიური წარმომადგენელი ვაცლავ ოსტროვსკი; იტალიის ელჩი ჩეჩუტი; თუჩეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ჟიანომ ბეი; საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი თუჩეთში სვიმონ მდივანი; საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უონსტანტონე საბახტაიაშვილი; განათლების მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გიგორი ლომთქიფანიძე; დამფუძნებელი უიების თავმჯდომარის მოადგილეები - ალექსანდრე ლომთათიძე და ექვთიმე თაყაიშვილი; საქართველოს თავდაცვის მინისტრი პაჩინი ჭიჭინაძე; სახარბო გვახლიის მთავარი შტაბისა და დამფუძნებელი უიების წევრი ანდრეი ჭიბხიშვილი.

ფოტო დაცულია უივნიე აქივში

რეპორტი

# კომფორტულად ჯდომას ის ბოზოქარი რეალობა მირჩევნია, რომლითაც ამ ხნის განმავლობაში ვიცხოვრებ

ჩემი რესპონდენტი, მარნეულის №2 საჯარო სკოლის დირექტორი შორენა ხუხუაძე, რომელიც უკვე წლებია, მრავალკონტინენტურიან სკოლას უდგას სათავეში, სადაც რუსულ-ქართული სექტორი ფუნქციონირებს და ორივე სექტორზე ახარბიჯანელი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები სწავლობენ. დირექტორი მათ ქართულ ენას ასწავლის და როგორც თავად ამბობს, ამისთვის თავი არასოდეს დაუზოგავს. პანდემიის დაწყებამდე მას უნდოდა გამოცხადებულ რაიონში დირექტორს შესვლის საშუალება აღარ მიეცა, თუმცა, დისტანციურად მართვას და სწავლებას ახლა ხელი ვერ შეუშალა. როგორია სკოლის ონლაინ გაკვეთილები, მოსწავლეთა დასწრება და რა პასუხისმგებლობა ქალბატონი შორენა ხუხუაძისთვის ტელესკოლის მასწავლებლობა? – ამ და ბევრ სხვა კითხვაზე საინტერესო პასუხებს ინტერვიუში ნაიკითხავთ, თუმცა, მანამდე გეტყვით, რომ ჩვენი განათლების სისტემა და, ზოგადად, ქვეყანა ამ ადამიანების მხრებზე დგას.

✓ **ქალბატონი შორენა, ჩვენი საუბარი დავიწყოთ იმით, თუ როგორია მოსწავლეთა დასწრება ონლაინ გაკვეთილებზე? გარდა იმისა, რომ თქვენ მასწავლებლებს ხართ და თავად გინდოდათ ამ პროცესის წარმართვა, ახლა როგორია, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონში მასწავლებლებთან სკოლის დირექტორის ურთიერთობა, სადაც ორი სექტორი ფუნქციონირებს.**

➔ ზუსტ მონაცემებს ყოველ კვირას ვაჯამებთ, დღევანდელი შეფასებით, მაღალ კლასებში თითქმის ოთხმოცდაათპროცენტია დასწრება გვაქვს, დაბალ კლასებში უფრო ნაკლები. თუ მშობელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს განათლებას, მისი შვილის დასწრებაც დაბალია. საერთო ჯამში, მოსწავლეთა დასწრება მოასლოდნელზე მეტია, ალბათ, იმიტომ, რომ სახლიდან გვერთვებიან – ყურსასმენს გაიკეთებენ და გაკვეთილზე. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ შემსუბუქებულია საგაკვეთილო პროცესი, ნაკლებ დრო სჭირდება. მაღალ კლასებში ინდივიდუალურად წყვეტს პედაგოგი დროს განაწილებს. გიორგი ჭაუჭიძის სადამრიგებლო კლასს ვასწავლი და ხშირად იმეორებ, ნახევრად ხუმრობით, მგონი ჩვენ ონლაინ სწავლებით უფრო მეტ შედეგებს დავებოთ. მთელი დღე კონტაქტზე ვართ, ვატარებთ გაკვეთილს, ვუსმინებთ, დავალებებს ვაძლევთ. დავალებს წერით ასრულებენ და გვიგზავნიან. ამით ძალიან დახვეწეს წერის კულტურა, მით უმეტეს კომპიუტერული წერის კულტურა, ქართულ კლავიატურასაც მიეჩვივნენ, რაც კიდევ ერთი პლუსია.

ინტერნეტი, თითქმის 90%-ზე მეტს აქვს, ასევე, ყველა აქვს ტელეფონებიც, მეოთხეკლასიდან ზევით ძალიან ცოტაა მოსწავლე, ვისაც ტელეფონი არ აქვს. ბავშვისთვის, ხშირად, უბრალოდ საბაბია, ტელეფონი არ აქვს ან ინტერნეტი, რომ გაკვეთილს არ დაესწროს. როგორც გითხარი, ეს მშობლის უპასუხისმგებლობა უფროა. რეალურად, ვინც მანამდეც უპასუხისმგებლო იყო და დავსდევდა სოციალური სამსახურით, ის ახლაც უპასუხისმგებლოა. ჩვენი სკოლა მკაცრად აკონტროლებს გაცდენებს – რა ხდება, რატომ არ დადის ბავშვი სკოლაში, სოციალური სამსახური მუდმივად აკითხავთ გამცდენებს ოჯახებში. ახლა ონლაინ გაცდენებსაც ჩვეულებრივად აღვრიცხავთ და ასეთი მოსწავლე ბევრი არაა.

ჩვენი სკოლა ცხრის ნახევარზე იწყებოდა და დავიანების პრობლემა იყო, ახლა აღარ დავიანებენ იმიტომ, რომ უფრო გვიან იწყება გაკვეთილები და მეორეც, უფრო იოლია ყველაფერი – 10-ზე ან 11 საათზე გაიღვიძებს და პირდაპირ სკოლაშია. თუ სურვილი არ აქვს, კამერასაც არ ჩართავს. და მაინც ვერ ვიტყვი, რომ ეს სრულფასოვანი სწავლებაა. მასწავლებლებისთვის მეტი ტვირთია, ურთულესია ადმინისტრაციისთვის, ემოციურადაც ძალიან გვაკლია ადამიანებს ურთიერთობები. არ გვაქვს წვდომა მშობლებთან, სადაც არის პრობლემა და საჭიროა სოციალური სამსახურის ჩართვა.

✓ **მასწავლებლებმა, რეალურად, რომორ ბაბრთვას თავი ონლაინ სწავლების პროცესს?**

➔ თიმში ყველაფერი ისე იოლად შეიძლება შესარულო, რომ არა მგონია, ამას მასწავლებელმა თავი ვერ გაართვას – უმარტივესია, მისცე დავალება, ჩაუგდო ბმული და ა.შ., რასაკვირველია, უნდა იცოდეს მისი მოხმარება. ეთნიკური უმცირესობების მასწავლებლებმა, ჩემს სკოლაში, კარგად ისწავლეს ეს ყველაფერი. მინდა გითხრა, რომ ძეგლიდან დავიჭირეთ თადარიგი. როცა ებრძობა დაიწყო, ჩვენმა ადმინისტრაციულმა გუნდმა ივარაუდა, რომ შეიძლება გვექონოდა ერთიანი ჩაჯვარება. ასეთ ამბებს არ ველოდით, მხოლოდ ერთ თვეს ვფიქრობდით. სასწრაფოდ დავიწყეთ მასწავლებლებისთვის ტრენინგები. რამდენიმე პედაგოგი გყავს

„ახალი სკოლის მოდელი“ ჩართული და სწორედ მათი დახმარებით, დავატრენინგეთ არაქართულენოვანი მასწავლებლები, იმის შიშით, ვაი თუ ვერ დავბრუნდეთ სკოლაში. მასწავლებლებმა დავინწყეთ კონფერენციების მოწყობა, ჯერ „თიმში“ შევექმნით პედაგოგის ჯგუფი, მერე – ანალოგიური ზუმში, ვცდილობდით და ვეძებდით გზებს, რა და როგორ გავგვეკეთებინა საჭიროების შემთხვევაში. ძალიან დიდი სკოლაა, მით უმეტეს, ორი სექტორია და დიდი დარტყმა იქნებოდა სკოლისთვის ერთიანი წყვეტა. ამიტომ, ყველა ღონე ვიხმარებთ, რომ ეს დარტყმა შეგვემსუბუქებინა.

ამას ტელესკოლის გაკვეთილები ემატება, როგორც დამატებითი რესურსი, თავისთავად, საგნობრივად, პირდაპირ ვერ გავყვება პროგრამას – 15-ნუთიანი გაკვეთილებია. ამ გაკვეთილების დავალებებს ვუგზავნით ბავშვებს, რომ შესარულონ და გაუგზავნონ ტელესკოლის მასწავლებელს. მოსწავლეები მარტო ტელესკოლის მასწავლებელს კი არა, ჩვენც გვიგზავნიან უკუკავშირს. ასე მომდის მეც დავალება ყველა იმ მოსწავლისგან, ვინც კი ჩემს გაკვეთილს უყურებს, – გარდაბნისა და მარნეულის, წალკის, ბოლნისის და სხვა მუნიციპალიტეტების სკოლების მოსწავლეებისგან.

✓ **ქალბატონი შორენა, თქვენ თვითონ ხართ ტელესკოლის მასწავლებელი, რა პასუხისმგებლობა ასეთი დიდი აუდიტორიის მასწავლებლობა?**

➔ დამერწმუნეთ, ბევრად რთულია, იყო ტელესკოლის მასწავლებელი, ვიდრე ჩვეულებრივი სკოლის. დიდი გამოწვევა იყო ჩემთვის. ძალიან ვინერვიულე. იწყებ იმით, რომ არაფერი მზა პროდუქტი არ არსებობს, თავს უყრი მასალებს და შენ თავად ქმნი პროგრამას, ახალ რესურსს იმის მიხედვით, რა სტანდარტსაც გთავაზობს ტელესკოლა. ათასი ნიუანსია გასათვალისწინებელი, რომელებიც აღერაასოდებს ვიფიქრი. მაგალითად, ზუსტად უნდა გითხვოდეს დრო – ზუსტად 15 ნუთი უნდა დასვა გაკვეთილი ისე, რომ ბავშვისთვის საინტერესოც აღმოჩნდეს და სასარგებლოც, სიამოვნებაც გიყვარს და დავალებაც ხალისით შეასრულებ. ყველაფერთან ერთად, ტელესკოლის გაკვეთილი აუცილებლად ბმავს უნდა იყოს გაკვეთილების თემებთან.

დაწყებითი კლასის სცენარებს გიორგი ჭაუჭიძის წერს და მიგზავნის. გიორგი ყველა იცის, ვინცაა და აღარ ჩამოვთვლი მის დამსახურებას განათლების სისტემაში.

მაღალ კლასებში დავით კამკამიძე მეხმარება, ჩემი მოადგილე და ქართულის, როგორც მეორე ენის საუკეთესო პედაგოგი. მყავს არაჩვეულებრივი ტექნიკური ჯგუფი, პროფესიონალი პროდიუსერები და ოპერატორები, ისე გულთბი არიან ჩართული წების მიერ დეტალში, არ ვიცი, მაღლიერება როგორ გამოვხატო.

პირველი გაკვეთილების კადრებს რომ შევხედე, თურმე როგორ ვნერვიულობდი, როგორი დაძაბული ვიყავი – კამერა პირში გიყურებს, შენ კი შიშობ, არაფერი შეგეშალოს, თან ბავშვს ვერ ხედავ, არადა მას ელმპარაკები. მესამე და მეოთხე გაკვეთილებზე დაძაბულობა უფრო მომეხსნა, შევეჩვიე და ჩვეულებრივად ვგრძნობ თავს. გამოხმაურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გაკვეთილები მოსწონთ.

ჩემს ტელესკოლის გაკვეთილებში ხშირად მოისმენთ ამბებს დმანისზე, წალკაზე, ნინოწმინდაზე, მარნეულზე თუ გარდაბანზე. როცა ბავშვი გაკვეთილს უყურებს და მასწავლებლები ეტყვიან: „გაიხედე ფანჯარაში, დღეს შენს რაიონში წვიმს“ და ეს მართლაც ასეა, მას უხარია, რომ პირადად მისი მასწავლებელი ვარ. აქედან გამომდინარე, ამ გაკვეთილმა მის ცნობიერებაში შეიძლება ბევრად მეტი კვალი დატოვოს, ვიდრე ქართული ენის 45-ნუთიანმა სტანდარტულმა ან ონლაინ გაკვეთილმა. ჩემი გაკვეთილების გმირები, გარდა იმისა, რომ მათთვის ძალიან ნაცნობ ადგილებში ცხოვრობენ, სახელებიც ძალიან ნაც-

ნობი აქვთ, რომელიც შეიძლება ერქვას დმანისელ მოსწავლესაც, მარნეულელსაც, ახალციხელსაც და წალკელსაც.

აი, ამაზე ვფიქრობ გამუდმებით, როგორ ვიყო თანაბრად ყველას პედაგოგი.

✓ **ეთნიკური უმცირესობების მასწავლებლობა განსაკუთრებული სახელმწიფოპროგრამის სტატუსს აქვს, რა პასუხისმგებლობა რადანსაირად თქვენს მხრებზე დგას...**

➔ სკოლაში ახალგაზრდა კადრების გუნდი შევექმნით – სკოლა იმ საუკეთესო ახალგაზრდებით დავაკომპლექტე, რომლებიც 4+1 პროგრამის კურსდამთავრებულები არიან. ჩემი მასწავლებლების ნაწილი სწორედ მასწავლებლის სახლის პროგრამების მონაწილეები არიან და იმედია, მსგავსი არაჩვეულებრივი პროექტები ისევ გავრძელებთ.

15 წლის წინ სულ სხვა ვითარება და გამოწვევები იყო. ახლა ახალგაზრდებმა სახელმწიფო ენა გაცოდებთ უკეთ იციან. როცა ამ თემასთან დაკავშირებით აგრესია იწყება, ძალიან გზრზაბები. სხვაგვარი მიდგომა საჭირო და არა აგრესიული საუბარი იმაზე, რომ ძველმა თაობამ ქართული ენა არ იცის. ბავშვებმა, რომლებიც კარგად სწავლობენ, ქართულიც კარგად იციან, ვინც არ სწავლობს, მან არც სხვა საგანი იცის და არც ქართული.

სამსახურში მასწავლებლებად მივიღე აზერბაიჯანელი ახალკურსდამთავრებულები, რომლებმაც კარგად იციან აზერბაიჯანული, ქართული და რუსული ენები. ეს მიზანმიმართულად გავაკეთე, აუცილებელი იყო, რადგან სკოლაში მხოლოდ ქართული ენის არცოდნის კი არა, ზოგადად, მწვავედ იდგა საგნობრივი სწავლების პრობლემა. ამიტომ, ამ მასწავლებლებს მთავისუფლებას ვაძლევდი, რომ გაკვეთილზე, განსაკუთრებით ტექნიკურ საგნებში, ბავშვებთან, მშობლიური ენაც გამოეყენებინათ.

მინდოდა, დავეძლია ის პრობლემები, რაც ბავშვებს ჰქონდათ – რეალურად ვერ ძლევდნენ საფეხურს, ვერ გადიოდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. წლების წინ კატასტროფული მდგომარეობა დამხვდა. გაცოცდი, როცა დიაგნოსტიკური კვლევებით ეს შედეგები დაგაფიქსირე. ხმაურთანადავფერიალე მონაცემები, რისთვისაც კრიტიკაც უხვად მივიღე. მიუხედავად ამისა, პრობლემაზე მაინც ხმამაღლა ავლაპარაკდი. განვიცხადე ქართული ენის სწავლება არ მალავს და ცდილობს იპოვოს გადაჭრის გზები. მეტი გაბედულება სჭირდება განათლების სისტემას.

ახალგაზრდა მასწავლებლების მუშაობამ კარგი შედეგები მომცა. ვუბნებოდი, ფიზიკას ასწავლი და ვერ იგებს ქართულად, აუხსენი მშობლიური ენაზე, მთავარია გაიგოს საგანი და არ იყოს სასწავლო სივრცისგან იზორირებული. მაღალ კლასებში გავაძლიერეთ ბოლინგური სწავლება.

საუკეთესო ათეულის დირექტორი ვარ, ეროვნული ჯილდოს ათეულის წევრი და ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული მასწავლებლები მყავს. ჩვენი სკოლა ქმნის სახელმწიფოპროგრამის ამინდს მარნეულის რაიონში, რადგან ის, რასაც ჩვენი სკოლა ყოველ წამს და ყოველ წუთს აკეთებს, არაქართულენოვანი სკოლებისთვის მაგალითის მიძღვნილია. ამაზე ყოველდღიურად მუშაობს მთელი გუნდი. მოსწავლემ რომ საგანი არ იცის კარგად, რა თქმა უნდა, პრობლემაა, მაგრამ თუკი სკოლა სახელმწიფოპროგრამის აზროვნებას არ უყალიბებს ისეთ მულტილინგვურ რეგიონში, როგორშიც ჩვენ ვართ, მაშინ აქ სხვა საფრთხეები შეიძლება გაჩნდეს. მით უმეტეს, რომ საქართველოში მოჭარბებულ ტოლერანტობას ვერ დავიკვივებით. ერთმანეთის ბრალდებასა და ხელის გაშვების დროს შეიძლება სახელმწიფო ინტერესები დავაზარალოთ. ამიტომ ვფიქრობ, ყველა დირექტორი, განსა-



კუთრებით არაქართულენოვანი სკოლის, სახელმწიფოპროგრამის აზროვნების ჩამოყალიბებაზე უნდა ზრუნავდეს. სახელმწიფოპროგრამის აზროვნების ჩამოყალიბება სწორედ სკოლაში ხდება. დირექტორმაც და მასწავლებლებმაც ამისთვის ყველაფერი უნდა გააკეთონ.

ზოგადი განათლების კანონის სწორედ ამას ავალდებულებს სასწავლო დაწესებულებას, რომ შესაბამისი უნარებით აღჭურვილი ტოლერანტი და სახელმწიფოპროგრამის მოახლოვებული მოქალაქე აღუზარდოს ქვეყანას. ჩემი აზრით, სკოლის ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას, იმისთვის, რომ ადაპტირებული იყოს თანამედროვე სისტემაში.

ჩვენი სკოლა, არაქართულენოვან სკოლებს შორის, ლიდერია რეგიონში, ამას შედეგებით ვადასტურებთ – სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობით, კონკურენტულზე გამარჯვებით ან იმ სტუდენტებით, რომლებიც ქართულ სექტორებზე აბარებენ, ჩვეულებრივ, ოთხი საგნით რეგისტრირდებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და კონკურენტულზე უნევენ ქართულ სკოლადასმარჯვებულებს. ეს ყველაფერი იმან კი არ მოიტანა, რომ ჩვენ ყველაზე ჭკვიანები ვართ. არა, უფრო ჭკვიანი ძალიან ბევრია მარნეულშიც და სხვაგანაც, ჩვენ ადაპტირებულები ვართ ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში და ვიცით, რა მოთხოვნებს აყენებს სკოლა, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება. პრობლემებს ვალიარებთ და ვცდილობთ, მოვავგვაროთ.

ისეთი კარგი აზერბაიჯანულენოვანი მასწავლებლები მყავს სკოლაში, ძველი თაობა, რომლებმაც პროფესიული წინსვლა შეძლეს. ტრენინგებისა და გადამზადების შემდეგ ისეთი შედეგები აჩვენეს გამოცდებზე, რაც ბევრმა ქართული სკოლის მასწავლებელმა ვერ შეძლო. 84 მასწავლებლიდან, 90 პროცენტი სერტიფიცირებულია, გვეყავს 2 მენტორი, 11-მდე ნამყვანი და დანარჩენი – უფროსი პედაგოგი. ძალიან ცოტა მასწავლებელი დარჩენილი სტატუსის გარეშე, საგნის გამოცდა ყველას აქვს ჩაბარებული, რამდენიმე დარჩენილი აქვს უნარების გამოცდა, ისიც იმის გამო, რომ უნარებს ქართულად აბარებენ და გაუჭირდათ. მასწავლებლების უმეტესობამ ქართული ისწავლა იმისთვის, რომ პედაგოგიური უნარების გამოცდა ჩაებარებინა. სპეციალური ჯგუფები შევექმნით მათთვის ქართულის შესასწავლად, სადაც გიორგი ჭაუჭიძე და პროგრამის მასწავლებლები ასწავლიდნენ. ამაში, რასაკვირველია, ხელმძღვანელობის როლიც არ უნდა დაიკარგოს, თუ ხელმძღვანელი მონაწილის სიმადლებზე და სხვის ბრძანებებს არ ელოდება, მაშინ, მერმუნეთ, დაუღლებელი არაფერია.

✓ **რა არის მთავარი მასწავლებლისთვის?**

➔ მთავარი სიყვარულია – ბავშვი უნდა გიყვარდეს და სულაც არ არის ეს არც ბანალური და არც ტრაფარეტული. დამწყები მასწავლებელი შეიძლება ვერც მეთოდებს ფლობდეს და არც საგანი იცოდეს ბრწყინვალედ, მაგრამ თუ ბავშვი უყვარს, აუცილებლად ისწავლის ყველაფერს. მნიშვნელოვანია სიყვარულში ბალანსის შენარჩუნება, რადგან

რეკლამა

კლასში ყოველთვის არის მოსწავლე, რომელიც მეტად უყვართ იმიტომ, რომ მასთან მუშაობა კომფორტულია, ნიჭიერი და იოლად იგებს ყველაფერს, მაგრამ ასევე არის მოსწავლე, რომელთან მუშაობაც არ არის კომფორტული. ამიტომ, მთავარია, მასწავლებელი თანაბარი იყოს მათ მიმართ. ეს რჩევები მამამ მომცა, ის იყო ჩემი პედაგოგი. როცა მასწავლებელი გავხდი, მითხრა: მთავარია, სამართლიანად მოექცე იმ კომფორტულ მოსწავლესაც, რომელიც ყოველ დღე დავალებებს ზედმინევნი ასრულებს და იმ მოსწავლესაც, რომელმაც შეიძლება დავალება საერთოდ არ შეასრულოს. ორივეს მიმართ განწყობა და დამოკიდებულება ერთი და იგივე უნდა გქონდესო.

სკოლაში ერთი უნიჭიერესი მოსწავლე მყავს – აისელი, რომელიც გიორგი ჭაუჭიძის სადამრიგებლო კლასშია. თუ რამეზე დავინუნუნებ ან რამე უკმაყოფილებას გამოვთქვამ რომელიმე მოსწავლის მისამართით, გიორგი მეტყვის ხოლმე – აქ აისელებს სკოლა კი არ გვაქვსო. მეც ხშირად ვიმეორებ ამ ფრაზას: აისელთან მუშაობა ძალიან იოლია – ნიჭიერია, პოზიტიური და თბილი, ერთი ნახვით რომ შეგიყვარდება, ისეთი ბავშვია... მაგრამ, თუ აისელის გვერდით ზის ჩაკეტილი, აგრესიული, ხანდახან უხეში და არაფრის გამკეთებელი მოსწავლე, შენ, კარგ მასწავლებელად და კარგ დირექტორად მაშინ ჩაითვლები, თუკი ორივეს მიმართ თანასწორი/თანაბარი იქნები. თუ სიყვარულით მიუდგები, ის აგრესიული მოსწავლეს აუცილებლად გიპაასუხებს სიყვარულით,

დღეს თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა ზეგ... მაგრამ აუცილებლად.

ჩემი, როგორც დირექტორის, ორიენტირი სწორედ ასეთ ბავშვებზე იყო ყოველთვის მიმართული. ზოგადად, ინკლუზიურ განათლებას დიდ ყურადღებას ვაქცევ, ამიტომ განსაკუთრებით ვცდილობ მათ ჩართვას პროცესებში, სურვილი მაქვს, მუდამ გვერდით ვიყო, რადგან სწორედ რთული ბავშვებისგან ვისწავლე ბევრი რამ. ვისწავლე, როგორი დამოკიდებულება უნდა მქონდეს მათთან, როგორ მივუახლოვდე მათ, როგორ დავინახო ჩემი საჭიროება... ნამდვილი მასწავლებლობა სწორედ ასეთ მოსწავლეებთან სწორი ურთიერთობებია. შეიძლება საგაკვეთილო პროცესში სრულფასოვნად ვერ ჩართო, მაგრამ მისი კლასთან ინტეგრირება რომ შეძლო და ასწავლო თანატოლებთან ურთიერთობა, ესეც დიდი მიღწევაა. რთულ და კონფლიქტურ კლასში შევედი წლების წინ, გადირექტორებისთანავე და ახლაც ვასწავლი მათ. არ ვიცი, ყველასთან შევეძლი თუ არა ასე მიდგომა, მაგრამ ვცაადე და ამისთვის თავი არ დამიზოგავს. ერთად ვიხსენებთ ხოლმე, რა გზა გამოვიარეთ დღევანდელ ღირებულებებამდე.

რა გავლენას მოახდენს საბანზანო-თვალის სფეროზე პანდემია ან ზოგადად რას შეცვლის ეს პროცესები?

ამაზე ხშირად ვფიქრობ... ყველას და ყველაფერს მაღლობს ვწირავ იმისთვის, თუკი

ოდესმე რაიმე პრობლემა შემქმნეს, რადგან პრობლემამ ასევე მეტად გამაძლიერა. თუნდაც, დირექტორობის პერიოდში მიღებულმა არაერთმა დარტყმამ მიმახვედრა, როგორ გავმზადიყავი ძლიერი და უფრო პროფესიონალი. კომფორტულად ჯდომას ყოველთვის მირჩევნია ის ბოლოქარი რეალობა, რომლითაც ამ ხნის განმავლობაში ვიცხოვრე და ახლაც ვაგრძელებ. დიდ პრობლემებს უფრო დიდი სიძლიერე მოაქვს და ვფიქრობ, პანდემიაც დიდ გარდატეხას შეიტანს, რაღაც კუთხით, არა მხოლოდ განათლებაში, ზოგადად, ჩვენს ცნობიერებაში.

ბევრი რამ დაგვანახა გამოწვევამ, ბევრი რამ უკვე გვასწავლა კიდევ. პირველ რიგში, ახლა განსაკუთრებით შევიგრძენი, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ბავშვებთან თვალეზით დამყარებულ ემოციურ კონტაქტს. ვიგრძენი ისიც, რა ძვირფასია ჩემთვის სკოლა ყველა თავისი ატრიბუტიკით, ვიგრძენი როგორ მომენტურად ბავშვები, როგორ მოვეხატებოდა.

გავიგე ისიც, რომ ახლა კიდევ უფრო მეტად გამოვეკიდები გაცდენებს, მშობლებს კი მეტად ვთხოვ, ჩაერთონ შეიღებულ განათლების პროცესში. თუნდაც იმ მშობლებს, რომლებიც ახლა შეიღებულ არ ეუბნებიან, რომ ტელეფონი აიღონ ხელში და გაკვეთილს შეუერთდნენ.

დღევანდელმა პროცესებმა განათლების სისტემას აჩვენა, რომ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს მოსწავლეების ნიშნებით შეფასებებს, რომ ეს შეფასებები მხოლოდ რიცხვ-

ბია, რადგან არავის გაუპროტესტებია, რომ ნიშნებს არ ვწერო და არც არავის უკითხავს, რა ნიშანი მიიღო. ეს იყო ყველაზე ამაზრზენი პრაქტიკა ჩემს ცხოვრებაში, როცა მოსწავლე მეკითხებოდა – მასწ. რა ნიშანი დამინერეთ, სახლში რომ მივალ, მკითხავენო. ამ დროს სულ მინდოდა მშობლებისთვის მეთქვა: შეიღებულ კი ნუ ეკითხებით რა ნიშანი დაუწერეთ, ჩვენ გვეკითხეთ, რაში დაეხმარათ თქვენს შვილებს.

მისარია, რომ ამ პერიოდმა ძველი, საბჭოური ორიენტირი – ნიშნებზე სწორება, თუნდაც, დროებით გააქრო, უკან გადასწია.

რაც მთავარია, პანდემიამ ტექნოლოგიებით სწავლების კიდევ უფრო მეტი საჭიროება დაგვანახა. ახლა, როცა სკოლაში დავბრუნდებით, უფრო გავაძლიერებთ და დავხვეწთ თიხის პროგრამაში მუშაობას, უამრავი რამ არის, რაც ვერ გავიგეთ ან უბრალოდ ვერ მივაკვლიეთ. მართალია, ონლაინ გაკვეთილებს ვატარებთ, მაგრამ ყველა ერთნაირად ხომ არ არის განვრთნილი ტექნოლოგიებში.

და კიდევ, ერთი რამ ზუსტად ვიცი, პანდემიის შემდგომ ყველაფერი უკეთესად იქნება, ვიდრე აქამდე იყო; ვიცი, როცა სკოლაში დაბრუნების დრო დადგება, ამას ვერავინ დამასწრებს, ჩავალ ჩემს საყვარელ მარნეულში, მივალ ჩემს მონატრებულ სკოლაში და პირველი ფრაზა, რასაც ვიტყვი, იქნება: არ დავიღვალ არასდროს!

ესაუბრა ლალი ჯალიძე

პროფესიული განათლება

პროფესიულ განათლებას განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა-განვითარებაში

გვესაუბრება ნინო ელვაძეძე, პროფესიული განათლების ექსპერტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამის მენეჯერი

რაგონად აღმოჩნდა მზად პროფესიული განათლების სისტემა დისტანციური სწავლებისთვის და რა გამოცდილებაა ამ მხრივ საერთაშორისო მიმართულებით?

პანდემიის და ე.წ. ლოქ დაუნისთვის არავინ არ იყო მზად, არა მხოლოდ განათლების სისტემაში, არამედ ზოგადად მთელ სამყაროში. შესაბამისად, შემიძლია ვითხრა, რომ ამის მზაობა არ გვქონია. ბუნებრივია, რომ პირველი, რაც დაგვეგმეთ და გავაკეთეთ, პანდემიის გამოცხადებისთანავე, ე.წ. კრიზისული გეგმის შედგენა და შესაბამისად მოქმედება იყო. ყველაზე ადრე კომუნიკაცია ვირტუალურ სამყაროში გადავიტანეთ, ასევე, მთლიანი სამუშაოც ონლაინ რეჟიმში წარიმართა. მოცემული სიტუაცია იყო გამოწვევა, თავისთავად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ სიტუაციაში შესაძლებელია, ჰქონდეს გარკვეული გამოსავლის შესაძლებლობები. კონკრეტულად რომ ვითხრა, პროფესიული განვითარების ღონისძიებები გადავიყვანეთ ონლაინ რეჟიმში და დაიწყეთ მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა ონლაინ ტრენინგებში ჩართულობის შესაძლებლობებისთვის და, ასევე, დავინახეთ ვებინარების მომზადება როგორც პროფესიული მასწავლებლებისთვის, ასევე დირექტორებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის.

მასწავლებლის სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე, აქამდე, რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვან თემაზე მოხდა ვებინარების გაშვება. მაგალითად: „პროფესიული განათლება პანდემიის დროს“ – განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილესთან, ქალბატონ თამარ ქიტიაშვილთან; „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები“ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილესთან, კახა ერატესთან; „მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები“ – სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან, მარიკა ზაქარაიშვილთან და სხვ. დაგეგმილი გვაქვს ვებინარების მომზადება სამი მიმართულებით:

- 1. პროფესიული განათლების პოლიტიკა და რეფორმა;
2. პროფესიული განათლების სწავლების მეთოდოლოგია;
3. პროფესიული დარგობრივი ვორკშოპები და სემინარები.

კომუნიკაციის ეს ფორმა ძალიან საინტერესო აღმოჩნდა პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისთვის

და, უბრალოდ, პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირებისთვის. ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს მათ მიერვე მოწოდებული უკუკავშირები გვაძლევს.

რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებას, ინტენსიური კომუნიკაცია გვაქვს ჩვენს უცხოელ კოლეგებთან და ბუნებრივია, დავინტერესდით მათი გამოცდილებით და იმ საკითხებით, თუ როგორ ახერხებდნენ ისინი ამ სიტუაციაში მუშაობას. პროფესიული განათლება განათლების ის ტიპია, სადაც ნახევარზე მეტი პრაქტიკულ სწავლებაზე მოდის და მხოლოდ თეორიული ნაწილისგან არ შედგება. შესაბამისად, ჩვენი კოლეგებიც უცხოეთში ონლაინ სწავლა-სწავლებაზე გადავიდნენ, თუმცა პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობა, სწავლების ასეთ ფორმატში, შედეგებს ნაკლებად იძლევა. ამგვარად, პანდემიის დრო ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი უფროა ამ სიტუაციის შემდგომი პროფესიული სწავლებისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებისათვის, ვიდრე კლასიკური გაგებით პროფესიული განათლება.

ფლობან თუ არა პროფესიული მასწავლებლები ონლაინ სწავლებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს?

პროფესიული მასწავლებლების აკადემიური საჭიროებების დასაბუთებლად ჩავატარეთ კვლევა-გამოკითხვა, რათა დაგვედგინა მათი საჭიროებები ორი მიმართულებით:

- 1. აქეთ თუ არა მათ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალება სახლში (კომპიუტერი, ლეპტოპი, პლანშეტი...);
2. აქეთ თუ არა მათ შესაბამისი უნარები იმისათვის, რომ ჩაერთონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მასწავლებლების უმეტესობა ფლობს როგორც მონოპოლიობას, ასევე შესაბამის უნარებს. მართალია, ეს მასწავლებელთა თვითშეფასებას ეფუძნება, მაგრამ არ გვაქვს მიზეზი, კვლევის შედეგებში ეჭვი შევიტანოთ და ვფიქრობთ, რეალობასთან ახლოსაა. თუმცა, სანამ მასწავლებელი უშუალოდ არ ჩაერთვება ტრენინგში, მანამდე, შესაძლებელია, მისთვისაც არ იყოს ბოლომდე ცხადი, კონკრეტულად რა უნარების ფლობაა საჭირო იმისათვის, რომ ის ონლაინ სწავლებაში ჩაერთოს. პროფესიული განვითარების ღონისძიებებისათვის და, ასევე, შეხვედრებისთვის, ძირითადად, ვიყენებთ Microsoft office 365-ის პროგრამას. იმისათვის, რომ Teams-ის პლატფორმა წარმატებით იქნეს გამოყენებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ჩავატარეთ

ონლაინ ტრენინგი პროფესიული მასწავლებლების დირექტორებისთვის. იგივე ტრენინგი დაგეგმილია მასწავლებლებისთვისაც, ონლაინ სწავლების მეთოდოლოგიაში.

თუ გადავიდა პროფესიული მასწავლებლების ადმინისტრაცია სრულად დისტანციურ სამუშაო რეჟიმში, დირექტორები იყვნენ ამისთვის მზად?

პანდემიის გამოცხადების დღიდან პროფესიული მასწავლებლების დირექტორები ონლაინ სამუშაო რეჟიმზე გადავიდნენ და, ფაქტობრივად, არც ერთი დღე არ შეწყვეტილა მუშაობა ადმინისტრაციის მხრიდან. სამუშაოები, ძირითადად, მოიცავს: მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან სამუშაო შეხვედრებს, სასწავლო პროცესში არსებული და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ; მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამებისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს; კერძო სექტორთან და ბიზნესთან კომუნიკაციის შენარჩუნება-განახლებას, რათა მოხდეს მათი მოსალოდნელი საჭიროებების ინდენტიფიცირება და შემუშავებული პროგრამების თანხვედრა მათ მოთხოვნებთან. პროფესიულმა დირექტორებმა მთელი ამ სამუშაოს კოორდინაცია, საკამოდ მოკლე დროში, ეფექტიანად შეძლეს და ასე გრძელდება დღემდე და გარტყმულდება მანამდე, სანამ ნორმალურ სამუშაო რეჟიმს არ დაუბრუნდებით. თუმცა ვფიქრობ, პანდემიის შემდგომაც მოხდება სამუშაოს გარკვეული მოდიფიცირება და ზოგიერთი საკითხის მოსაგვარებლად, კვლავინდებურად, ონლაინ პლატფორმა იქნება გამოყენებული.

საბანზანო მდგომარეობის გამოცხადებამდე, თუ პირდაპირ გავლილი პროფესიული მასწავლებლების ავტორიზაციის ტრენინგები, ტრენინგები ან ახლა რას სთავაზობს მათ მასწავლებელთა სახლი?

როგორც მოგახსენეთ, დირექტორებს უკვე ჩაუტარდათ პირველი ტრენინგები ონლაინ სწავლებაზე და დაგეგმილია პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარების ღონისძიებების ონლაინ რეჟიმში გაატარება. საუბარია ორ ძირითად მიმართულებაზე: ეს არის პროფესიული მასწავლებლების პედაგოგიური კურსის გაგრძელება და სამენარჩევი კომპეტენციების განვითარება პროფესიული მასწავლებლებისთვის. ეს ორივე მიმართულება ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებებია მასწავლებელთა განვითარების ხელშეწყობისთვის.



ბად. როდესაც ცხოვრებისა და სწავლების ნორმალურ რეჟიმს დაუბრუნდებით, სხვა მიმართულებებითაც გავაგრძელებთ მუშაობას, როგორცაა, მაგალითად, ინკლუზიური განათლება ან მასწავლებლების ადმინისტრაციის ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით.

როგორ ფიქრობთ, შესაძლებელი იქნება სემინარების და სწავლების განვითარების შემოსვლაში, სწავლების ალტერნატიული გზების კონსტრუქციული ხედი?

როგორც ჩვენი ეპიდემიოლოგები პროგნოზირებენ, სექტემბრიდან სასწავლო პროცესის აღდგენა შესაძლებელი იქნება, თუმცა, რა თქმა უნდა, ვფიქრობთ იმაზეც, რა უნდა გავაკეთოთ, თუკი მდომარეობა უკეთესობისკენ არ შეიცვლება. ჩვენ მოგვიწევს რეალობისთვის თვალის გასწორება და განსაკუთრებულ სიტუაციაშიც გამოსავლის პოვნა და გამოყენება. პროფესიული სწავლების თეორიული ნაწილი შესაძლებელია, ისწავლებოდეს ონლაინ რეჟიმში, ხოლო პრაქტიკული სწავლებისთვის გვექნება კონსულტაციები როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ ექსპერტებთან, რათა ოპტიმალური გამოსავალი შევარჩიოთ. პროფესიულ განათლებას განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებაში. შესაბამისად, ჩვენ ვაჩერებთ უფლებას არ გვაქვს. პროფესიული მასწავლებელი კი სწორედ ის მთავარი ფიგურაა, რომელიც ხარისხიანი სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელი და მას განსაკუთრებული ყურადღება და თანადგომა სჭირდება.

ესაუბრა ლალი თვალაბიშვილი

# სიასლუ და სვალეზადოგა ამ სამყაროს საუკეთესო ატრიბუტები

დღევანდელი „ნომრის სტუმარი“ პოეტი, მთარგმნელი და აღმოსავლეთმცოდნე გიორგი ლოგუაშვილი, რომლისთვისაც თვითიზოლაციაში, პრაქტიკულად, დღის რაჟიმი გვირგვინად არაფრით შეცვალა – ჩვეულებრივ მუშაობს და თავს „ოპტიმისტურად ნაღვლიანად“ გრძნობს. თუმცა, კორონოვირუსის შახს, მის ცხოვრებაში ჩვეული საშუალო დღეების გარდა იყო გამოჩენილი დღეებიც, რომელიც ასევე გამოჩენილად იქცა არა მხოლოდ მისთვის ან ლიტერატურის მოყვარულებისა და ქომაგებისთვის, არამედ ჯობადაც, ძველებისთვის, რადგან მთარგმნელის სიტყვებითვე რომ ვთქვათ: ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მენსევი“ აკადემიური თარგმანი ნებისმიერ ენაზე ნამდვილად არის მოკვლენა! მისთვის კი – მოკვლენასთან ერთად, უმძიმესი შრომის პირველი მნიშვნელოვანი ეტაპის შედეგი. „გოლოს და გოლოს რუმის თარგმანიც ზარზედით შემოვა თავის სამშობლოში“. ინტერვიუში წაიკითხავთ მთარგმნელის აქცენტებს პოეტის „არაპოეტურ მხარეზე“ – რა ეტაპები გამოიარა პირველი წიგნის დაბეჭდვამდე ექვსწიგნიანი ნაწარმოების თარგმანის პროექტმა, რომელიც 12 წელიწადში უნდა დასრულდებოდა.

გიორგი ლოგუაშვილისგან, ასევე, გაიგებთ იმ მიზეზებსაც, თუ რატომ არის საზოგადოებაში განათლების დეფიციტი და არსებულ ვითარებაში ქართული საზოგადოება, მოულოდნელად, როგორ აქცევა თავს კარგ თვისებას.

**გიორგი, პირველ რიგში, მინდა გითხროთ – როგორ გამოვიყურებთ ადამიანებს ცხოვრებაში ამ მსაფრსოვში? როგორი გამოჩენილია საზოგადოება დღევანდელ ვითარებაში?**

არ ვიცი. დიდი ხანია, გარეთ აღარ გავსულვარ. საერთოდ კი, ადამიანი ყველგან ადამიანია: თავისუფლად მყოფიც და იზოლაციაში. სოციალური ქსელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ოდნავ ნევროზული გავხდით, რაც სასურველი ბუნებრივია. ქართული საზოგადოება მოულოდნელად კარგ თვისებებს ამჟღავნებს. უფრო სწორად, ნამდვილი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კარგ თვისებებს. ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი ორგანიზებული გერა და გენგა, კანონმდებელი თუ აღმოჩენილები. რამდენიმე ინციდენტი საგულისხმო არ არის. ეს ისეთი გამოხატულებაა, რომელიც სწორედ წესს ადასტურებს.

**რა შეცვალა პანდემიამ თქვენს ცხოვრებაში?**

ბევრი არაფერი. ჩემი დღის რეჟიმი პრაქტიკულად იგივეა. ჩვეულებრივ ვმუშაობ და გარეთაც გული მაინცდამაინც არ მიმიწევს ამ ეტაპზე. შეიძლება, პირიქით, პანდემიამ დამასვენა კიდევაც, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით საათობით მგზავრობა აღარ მიწევს: ეს დრო ნამდვილად დამეზოგა და ასე-აა დანაზოგსაც საქმისთვის ან დასვენებისათვის ვიყენებ. ერთადერთი, ძალიან მენატრებოდა ჩემი მეგობრები და ახლობლები, ჩემი დები და ნათესავები, რომლებსაც ვეღარ ვნახულვარ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ესეც დამთავრდება.

**ერთი ფრაზით რომ გამოხატოთ, როგორია ახლა თქვენი შინაგანი მდგომარეობა?**

ოპტიმისტურად ნაღვლიანი.

**ამ პერიოდში, თვითიზოლაციის დროს, გამოვიდა თქვენი ახალი თარგმანი – ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მენსევი“ – ცოტა რამ გვითხარით ამ წიგნზე.**

ბოლოს და ბოლოს დასრულდა უმძიმესი შრომის ნაბეჭდებელი მნიშვნელოვანი ეტაპი და დავინახე ამ შრომის შედეგი – ჯალალ ედ-დინ რუმის გენიალური პოემის ქართული თარგმანის პირველი ნაწილი, რომელიც ხუთას ნაბეჭდ გვერდს მოიცავს. ამ პოემის თარგმანს, თავის დროზე, 12 წლის წინათ, ირანში მოქმედებდა ორგანიზაციამ – „შამსე თაბრიზის საზოგადოებამ“ შემოიკვეთა. ეს არის ჯალალ ედ-დინ რუმის შემოქმედების შემსწავლელი სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც რუმის პირველხარისხიანი სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული. მკაცრი წინასწარი შერჩევის შემდეგ, მათ ამ პოემის მთარგმნელად მე ამირჩიეს და გავაფორმეთ საკმაოდ დეტალური და იურიდიულად მძიმე ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გარკვეული ანაზღაურების ფასად (რომელიც, მინდა გითხრათ, რომ კაპიკები იყო შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობასა და სიმძიმესთან შედარებით), დაახლო-

ებით, ყოველ ორ წელიწადში მათთვის უნდა ჩამებარებინა დასაბეჭდებელი გამზადებული პოემის თითო წიგნი. ნაწარმოები ექვსწიგნიანია და შესაბამისად, ივარაუდებოდა, რომ თარგმანს და გამოცემა 12 წელიწადში უნდა დასრულდებოდა. ირანულმა მხარემ, ავანსის სახით, გადაიხადა პირველი წიგნის ჰონორარის ნახევარი და მპირდებოდა, რომ მეორე ნახევარს ამ პირველი წიგნის დასრულების შემდგომ მივიღებდი. თუმცა, პირველი წიგნის დასრულებისთანავე გაირკვა, რომ მათ პროექტის გაგრძელება აღარ მოინდომეს და ამის მიზეზად ფინანსური კრიზისი დაასახელეს, ისიც არაოფიციალურად, რადგან „შამსე თაბრიზის ფონდის“ ხელმძღვანელი, რომელმაც ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ამის შემდეგ ჩემთან კავშირზე აღარ გამოსულა. პოემაზე მუშაობა კი მაინც გავაგრძელე, მაგრამ ამის პარალელურად, ვინაიდან გაურკვეველი იყო ირანში დადებული ხელშეკრულების მომავალი, სხვა სპონსორების მოძიება აღარ დამიწყია. ვიჯექი ჩემთვის და ვაკეთებდი საქმეს, რომელიც პრაქტიკულად უკვე დავასრულე, რადგან ამჟამად შავად თარგმნილი მაქვს პოემის ექვსივე ნაწილი. ჩემსა და ირანულ ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თაობაზე იცოდნენ საქართველოში ირანის საელჩოშიც. საელჩოს კულტურის განყოფილება რამდენჯერმე შეეცადა „შამსე თაბრიზის ფონდის“ ხელმძღვანელობასთან ამ საკითხის გარკვევას, მაგრამ როგორც მე მითხრეს, დამაიბედებელი პასუხი ვერ მიიღეს. ერთადერთი ის გამოარკვიეს, რომ ფონდი ტექსტის თარგმანის უფლებაზე პრეტენზიას აღარ აცხადებდა, ვინაიდან ხელშეკრულებას ყველანაირი ყაველი უკვე გაუვიდა. ამის შემდეგ, ირანის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელმა ჰამიდ მუსტაფაეიმ შემომთავაზა, რომ თუკი მოვძებნიდი გამოცემლობას, რომელიც თანახმა იქნებოდა გამოეცა ჩემი თარგმანი, ირანის საელჩოს კულტურის განყოფილება მზად იყო, დაეფინანსებინა პოემის პირველი და მეორე წიგნის ჰონორარისა და გამოცემის ნაწილი. მე დაუუკავშირდი „სულაკაურის გამომცემლობას“ და მისი ხელმძღვანელი თინა მამულაშვილი მართლაც დიდხალად დამთანხმდა გამოცემაზე. ასე დაიბეჭდა პირველი წიგნი და თუ ირანელებმა (ამჯერად, ირანის საელჩოს კულტურის განყოფილებამ) ჩვენთვის მოცემული სიტყვა პატიოსნად შეასრულეს, წლის ბოლომდე, მესწვეის მეორე წიგნიც დაიბეჭდება.

პირველი წიგნი კი დაიბეჭდა, მაგრამ ტირაჟი, კოვიდ ინფექციის მიზეზით მსოფლიოში შექმნილი ვითარების გამო, თურქეთის ერთ-ერთ სტამბაში ჩარჩა და, ჯერჯერობით, მკითხველამდე ვერ ჩამოაღწია. ისეც გამოცემლობამ იყოჩაღა, რამდენიმე ცალი თურქ პარტნიორებს ფოსტით გამოგზავნიდეს და ჩემამდე ასე მოვიდა ამდენი ხნის ნანატრი ნაშრომი. იმედი, მალე ყველაფერი დალაგდება და ბოლოს და ბოლოს რუმის თარგმანიც ზარზედით შემოვა თავის სამშობლოში. ვინც მიცნობს, ალბათ, გაუკვირდება ჩემგან პროექტის ფინანსურ და სრულად არაპოეტურ მხარეზე ამდენი ლაპარაკი. ალბათ უფრო იმას ელოდნენ, მეტყვა რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი წიგნების თარგმანს და როგორი ბედნიერი ვარ, რომ ამხელა საქმეს



გვირგვინი დავადგი. რა თქმა უნდა, ასეა! ამ ბედნიერებას მართლა არაფერი შეედრება, მაგრამ სამწუხაროდ, არც იმ ასაკში აღარ ვარ, რომ მხოლოდ ჩემი გვარ-სახელის ნიგნის ყდაზე ხილვა მახარებდეს. მთარგმნელის შრომა ისედაც სრულიად შეუფასებელია და ამ ფონზე, როცა წინასწარ შეთანხმებულ კაპიკებსაც კი გამოთხოვრებენ, შეიძლება ადამიანმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნოს; ან ეჭვი მაინც შეგეპაროს საკუთარი საქმის სისწორეში, რადგან დიდი ანგარიშით, თუ საქმი, რომელსაც აკეთებ, სწორია, იმან თავისი შემოსავალი აუცილებლად თვითონვე უნდა მოიტანოს. თუ არადა, ესე იგი ფუჭად შრომობ: ერს, რომელსაც სხვა, სრულიად მინიერი მოთხოვნილებები აქვს, ჯალალ ედ-დინ რუმის არაფერში სჭირდება: ვერაფერში გამოიყენებს და ვერც თავს მოიწონებს, შემომხედეთ, ეს რა განძი მაქვსო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი დონის თარგმანს სულ პიროვნული ინიციატივას ვერ შეატოვებ და, თუ ქვეყანა გქვია და მით უმეტეს, კულტურულუბაზე გაქვს პრეტენზია, არც უნდა შეატოვო. მოკლედ, ამ ეტაპზე, თუ ვინმესთვის მეთქმის მადლობა, რა თქმა უნდა, „სულაკაურის გამომცემლობისთვის“, რომ პირველი წიგნი მაინც დაიბეჭდა. ნაწილობრივ, ირანის საელჩოს კულტურის განყოფილებისთვისაც, რაკილა ამ განყოფილების ხელმძღვანელმა, ჩემთან ბოლო საუბრისას, მითხრა, რომ მას უბრალოდ პიროვნულად აწუხებდა ის ამბავი, რომ თარგმანი ამდენი ხანი „ობდებოდა“ ჩემს კომპიუტერში და ამიტომ გადანაცვალა, რადგან ციფრულად დასაბეჭდვით პირველი წიგნის გამოცემის პროცესს. და რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ თარგმანის რედაქტორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგის, პროფესორ თეა შურლაიასი, რომელმაც (თავდაპირველი ირანული პარტნიორების პირუტყვიცობის გამო) სრულიად უსასყიდლოდ იმუშავა თარგმანის რედაქტირებაზე, სკრუპულოზურად შეადარა ქართული ტექსტი პოემის დედას და არაერთი ფაქტური რჩევა გაგვიზიარა.

**დაწარჩენი რა გითხრათ? სულ არა ვარ ყალბი თავმდაბლობის გუნებაზე, ამიტომ მოდი, ასე ვიკითხოთ: არის მოკვლენა ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მენსევის“ აკადემიური თარგმანი ნებისმიერ ენაზე? ნამდვილად არის! სხვა ყველაფერი მკითხველმა შეაფასოს. მე კი ვიმედოვნებ, სიკვდილამდე მაინც მოვახერხებ იმას, რომ პოემის სრული ტექსტი შესაბამისად გამოვცე, ისევე ბრწყინვალედ, როგორც სულაკაურის გამომცემლობის წყალობით ეს პირველი წიგნი დაისტამბა.**

**თუ არ ვცდები, პანდემიამ ხელი შეგიშალა ერთ-ერთი საერთაშორისო ფესტივალზე პრემიის მისაღებად გამგზავრებაში...**  
დიხ, ნამდვილად ასე იყო. თუმცა, ეს ამბავი მაინცდამაინც მტკივნეულად არ აღმიქვამს. იმიტომ, რომ ვერც ვავიგე, რა როგორ მოხდა. საქმი ისაა, რომ იტალიაში არსებობს ყოველწლიური ძალიან პრესტიჟული პრემია მსოფლიო პოეზიაში, რომელზეც, ყოველწლიურად, ათასობით კონკურსანტი მონაწილეობს და ამ პრემიის ოცეულში გასელა დიდ

წარმატებად ითვლება. ჩემმა მეგობარმა, იტალიური ლიტერატურის ქართულად და ქართული ლიტერატურის იტალიურად მთარგმნელმა ნუნუ გელაძემ გადანაცვალა, რომ ჩემი ლექსების იტალიური თარგმანებიც გაეგზავნა, ოღონდ წინასწარ მე არაფერი მითხრა და მხოლოდ მას შემდეგ შემატყობინა, როცა გაირკვა, რომ წლებიწინადად მონაწილეთა საუკეთესო 10 პოეტში გავედი. წელს კი, სულ 2000-მდე პოეტის 4000-მდე ნამუშევარი იღებდა მონაწილეობას. მარტში, იტალიაში, უნდა ჩატარებულიყო პრემიის დაჯილდოების ცერემონია და პრემიის კომიტეტმა წერილით შემატყობინა, ემიდისტუაციის გამო, გადავდეთ ღონისძიება და ბოდიშ გიხდითო. ასე რომ, ოდესმე, კორონა რომ დასრულდება, მაინც მომიწევს იტალიაში ამ პრემიისთვის ჩასვლა. მაგრამ ყველაზე მთავარი ამ პრემიაში ჩემთვის ჩემი მეგობრის ასეთი თავგანწირვა და გულშემატიკობა იყო. ნუნუ გელაძე რომ არა, ცხადია, არაფერიც არ იქნებოდა და კიდევ კარგი, რომ არის, რომ მყავს და ჰყავს ეს ადამიანი მთელ ქართულ ლიტერატურას, იტალიაში მცხოვრებ ყველა ქართველს, რადგან ემიდემიის დროს ნუნუ გელაძე იქცა იქაური ქართველების ერთ-ერთ უპირველეს დამხმარედ და ნუგეზად.

**დღეს საზოგადოებაში რა ფასობს?**

გაანჩია, რომელ საზოგადოებაში. საზოგადოება ძალიან ჭრელია. ჩემს საზოგადოებაში ფასობს სიკეთე, გონიერება, ნივთიერება, განათლება, სიყვარული, უბრალოება და ადამიანურობა. საერთოდ, ქართულ საზოგადოებაში რა მოგახსენოთ? ალბათ, იგივე ღირებულებები, რაც ჩამოგითვალეთ, რადგან, ადრე თუ გვიან, ყველა ადამიანი მიდის სწორედ ამ ღირებულებების აღიარებამდე.

**ყოველწლიურად შეაყრება, პირველი რიგში, რისი მანიშნებელია?**

არასრულფასოვნების კომპლექსის.

**ახლა უნდა გაითხროთ განათლება – საზოგადოებაში განათლების დეფიციტია?**

რა თქმა უნდა, არის. ჩვენი განათლების სისტემა ვერა და ვერ ნავიდა წინ, რადგან საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის მთელ ისტორიაში არც ერთი მთავრობის პრიორიტეტი განათლება არ ყოფილა. გადაიგდა რაღაც ნაბიჯები განათლების სისტემის მოსაწესრიგებლად, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და ისიც, რაც გაკეთდა, უმრავლეს შემთხვევაში, თითქმის უკვალოდ დაიკარგა.

**და ისევ განათლება – კორონა-რუსის გამო დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა როგორც ჯობადასა და სწავლებლად დასწავლებლები, ისე უმაღლესი სასწავლებლები, როგორ გააერთიანოთ თანამედროვე სწავლებას – თქვენი აზრი საინტელექტუალური როგორც მშობლის, ისე როგორც ლიტერატურის პოეტიკაში...**

მე მგონია, რომ ასეთ უცაბედ გამოწვევას თავი საკმაოდ კარგად გავართვით. ჩემი გონიერების კლასიკურ გიმნაზიაში სწავ-

სტუმარი

ლობს და ალტაცებული ვარ ამ სკოლის მასწავლებლებს პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობის გრძობით. პირველი სკოლა მაგალითად იმით მომეყვას, რომ უშუალო შემსრულებელი ვარ მათი ონლაინ გაკვეთილებში, თორემ ისე, ეჭვი არ მეპარება, რომ მეტნაკლებად ასეთი ვითარება გვაქვს ყველა სხვა სკოლის შემთხვევაშიც. არ ვიცი, რა ხდება იმ რეგიონებში, სადაც ინტერნეტის პრობლემაა. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას და კონკრეტულად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, უმოკლეს ვადაში მოხდა ყველა რესურსის მობილიზება, რათა დისტანციური სწავლებისათვის სათანადო პირობები შექმნილიყო. შემძლია გითხრათ, რომ სულ რამდენიმე ლექციის გაცდენა მომიწია და ისიც ინტერნეტის ხარისხის გამო. დანარჩენი ყვე-

ლაფერი ჩვეულებრივად არის – ერთგულად მიყვებით სასწავლო პროგრამას და არც ერთ ჯგუფთან ჩამორჩენა არ იგრძნობა, თუმცა, როგორც სწავლების მეთოდი, დისტანციური სწავლება, ვერასოდეს ჩაანაცვლებს უშუალო კონტაქტის, აუტორიტარული მიღებული განათლების მთელ სიკეთეს.

თქვენთვის ვინ იყო/არის ყველაზე „დიდი“ მასწავლებელი?

ალბათ ძალიან ბანალური გამოვჩნდები, მაგრამ მაინც ასე უნდა გიპასუხოთ: ცხოვრება და ის ადამიანები, რომლებიც ბედისწერამ შემახვედრა.

სამყარო აღარ იქნება ისეთი, როგორც იყო – ამ ფრაზას ხშირად ვისმინებთ?

რონალინგის შანსი. ნათავ, იცნის ვინმე რომელი იქნება? თქვენ რას ფიქრობთ, რომელი იქნება?

მთავარია, სამყარო იყოს და ის, მეორედ, ისედაც არ არის ხოლმე ზუსტად ისეთი, როგორც ნინა დღით იყო. სიახლე და ცვლადობა ამ სამყაროს საუკეთესო ატრიბუტებია. კარგია, თუ ებიდეშია სასიკეთოსაც გვასწავლის რამეს.

ამ გადასახადიდან ყველაზე ძვირფასი რა არის თქვენთვის? ჩემთვის ახამადე სიცოცხლე იყო, რადგან აზრსა-ჯანსაღი უფრო მეტად ვიგრძნობდი და ღირებულებები უფრო მეტად ვიგრძნობდი...

სიცოცხლე და უანგარო სიკეთე. ქვაზე დადებული მაღლი.

ლიტერატურა – რა გავლენას ახდენს ადამიანებზე...

მინიმალურს. ან საერთოდაც ვერავითარს. ლიტერატურამ შეიძლება იმოქმედოს ყოველ კონკრეტულ ადამიანზე, ადამიანებზე ის თითქმის ვერ მოქმედებს. მაგრამ თუნდაც ერთი კარგი ადამიანის კართარისისათვის ღირს ლიტერატურის არსებობა.

როცა პანდემია გადაივლის (იმიტომ ნათავ) და შეზღუდვები მოიხსნება, პირველი რიგში, რას გააკეთებთ?

მეგობრებს ვნახავ, მონატრებულ ადამიანებს.

ესაუბრა ლალი ჯეილაძე

მოსწავლე მკვლევარი

12 წლის გამოგონებელი

ბაკა ყიფიანი

ახალგაზრდა გამოგონებელსა და ვენდერკინდს – შოთა ბერიძეს საზოგადოების ნაწილი უკვე კარგად იცნობს. შოთას და მისი მეგობრების – „ევროპული სკოლის“ „რობოტიკის კლუბის“ წევრების მიერ შექმნილმა რობოტმა, გასულ წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, GENIUS ოლიმპიადაზე, 75 ქვეყანასა და 256 მონაწილეს შორის, მეოთხე ადგილი დაიკავა. განსაკუთრებული ნიჭით გამოჩენილი 12 წლის შოთას მკითხველისთვის ახლოს გაცნობას მისი მშობლიური სკოლიდან დავიწყებთ.

დღეს შოთა კომაროვის სკოლა-პანსიონში სწავლობს და ცხოვრობს. იგი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებიდან, მრავალშვილიანი ოჯახიდანაა, ჰყავს სამი ძმა, ერთი და, დედ-მამა და ბებია-პაპა. მე-5 კლასში დადიანის გამარჯვების საჯარო სკოლაში სწავლობდა. ფიზიკა-მათემატიკის განსაკუთრებული ნიჭის გამო, სკოლის შეცვლა და თბილისში, კომაროვის სკოლა-პანსიონში, საცხოვრებლად გადმოსვლა მოუწია. ამბობს, რომ მშობლიური სკოლა ძალიან ენატრება. იქ გატარებული წლები ტკბილად აგონდება, მეგობრებს, თანაკლასელებსა და მასწავლებლებს ახსენებს.

შოთას ყოველი წარმატება მშობლიურ სკოლაში ყველაზე მეტად უნარიათ. მასწავლებლები მის ნიჭსა და განსაკუთრებულ უნარებზე დღესაც სიამაყით საუბრობენ.

გურამ ნათენაძე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის დირექტორი: „შოთა პირველი კლასიდან ჩვენს სკოლაში სწავლობდა. მის ნიჭიერებაზე მიღწეული წარმატებები და შედეგები მეტყველებს. მინდა, ყურადღება მის პიროვნულ თვისებებზე გავამახვილო და სწავლისადმი დამოკიდებულებაზე. სწორედ ამ ყველაფერმა ერთად განაპირობა მისი წარმატება. უარესად თბილი, ყურადღებიანი და კომუნიკაბელური ბიჭია. უფროსებთან მისი ურთიერთობა საინტერესო და საქმიანია. ყოველთვის იღებს რწმუნებებს და ცდილობს, იყოს გამორჩეული. შოთა დაწყებითი კლასიდანვე ჩართული იყო სასკოლო, სარაიონო და ქვეყნის მასშტაბით გამართულ ოლიმპიადებში. შედეგები ყოველთვის კარგი ჰქონდა. მის უნარებზე არაერთხელ გვისაუბრია მასწავლებლებს. შოთას გაუმართლდა, რადგან ჰყავდა და ახლაც ჰყავს კარგი მასწავლებლები. გაუმართლა, რომ იზრდებოდა კულტურულ გარემოში. მისი მოძრაობისთვის, მრავალშვილიანი ოჯახში, სწავლა-განათლება პრიორიტეტულია.

მიხარია, რომ დღეს შოთა კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის წარმატებული მოსწავლეა. მან პატარა ასაკშივე შეძლო, საზოგადოების ყურადღება მიექცია, როგორც პერსპექტიულ ყმაწვილს. მეგურა, მრავალჯერ გავვახარებს მიღწეული წარმატებებით. გამარჯვების საჯარო სკოლა ამყავს შოთათი“.

ამჟამად შოთა ვლადიმერ კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეა. ოჯახიდან მოშორებით ცხოვრობს, თუმცა, დამოუკიდებელ ცხოვრებას წარმატებით ართმევს თავს.

„მე-4 კლასიდან კომაროვის შაბათის სკოლაში დავედი. შემდეგ კომაროვის სკოლის მისაღები გამოცდები ჩავაბარე და სასწავლებლად თბილისში გადავივი. შემდეგ, სკოლა არ შემეცვალა და მშობლიურ სკოლაში გამეგრძელებინა სწავლა, მაგრამ საკუთარი თავის რეალიზება და შესაძლებლობები რომ გამოვსვლიყავი, ეს აუცილებელი იყო. ოჯახისგან მოშორებით ცხოვრება, ჩემი ასაკიდან გამომდინარე, არც ისე მარტივია. თავ-

დაპირველად ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ახლა დამოუკიდებლად ცხოვრებას, ასე თუ ისე, მივეჩვიე. ვფიქრობ, ჩემი მომავლისთვის ასე უკეთესია.

გამოგონებების მიმართ ჩემი ინტერესი ძალიან ადრეულ ასაკს უკავშირდება. პატარაობიდან „ვჩხირკედლაობ“, რამაც ჩემში რობოტიკისადმი ინტერესი გააღვივა. „ევროპული სკოლის“ რობოტიკის წრეზე სიარული გასული წლის სექტემბერში დავიწყე. ჩემს მიღწევებში უდიდესი როლი მიუძღვის რობოტიკის კლუბის ხელმძღვანელს, დავით ნოზაძეს და ჩემს გუნდს“ – გვიამბობს შოთა.


მისი პირველი გამოგონება სუმოს რობოტი იყო, რომელმაც თურქეთში, ქალაქ სამსუნში, რობოტიკის მე-13 საერთაშორისო შეჯიბრში იასპარეზა და საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა. აღსანიშნავია, რომ თურქეთის განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრში, 33 ქვეყნიდან, 5000 მოსწავლე მონაწილეობდა და 3800-მდე პროექტი იყო წარდგენილი. შოთა, მონაწილეთა ერთად, გაეცნო მაღალი ტექნოლოგიური პროდუქტის ნიმუშებს და გამოცდილებაც შეიძინა. ოლიმპიადის ფარგლებში, მოსწავლეებმა ასევე დაათვალიერეს ქალაქ სამსუნის ღირსშესანიშნაობები და მუზეუმები.

ამერიკაში გამართულ GENIUS ოლიმპიადა-2019-ში, სადაც 75 ქვეყანა და 256 მოსწავლე მონაწილეობდა. შოთას და მისი გუნდის მიერ შექმნილმა რობოტმა, რომლის მოვალეობა ცეცხლის ჩაქრობა და ცეცხლმოკიდებულის სახლიდან ხალხის დროული ევაკუაცია იყო, მეოთხე ადგილი დაიკავა. „ამერიკაში 10 დღით ვიმყოფებოდი და ძალიან ბევრ საინტერესო ინოვაციას ვავეცანი. ჩემი ოცნებაა, შევქმნა რობოტი დიდი მოდელი, რომელსაც შეეძლება ჩაანაცვლოს მესამდრების დაუღალავი შრომა და მათ მაგივრად ჩააქროს ხანძარი. ძალიან მიყვარს მანქანები და მინდა, ჩემი პროფესია ავტოინჟინერია და ვუკავშირო – ამბობს შოთა.

მოზარდის გამორჩეული ნიჭისა და შესაძლებლობების შესახებ მისი მასწავლებელი, „ევროპული სკოლის“ რობოტიკის და ტექნოლოგიების პედაგოგი, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს საბავშვო-რობოტიკის მწვრთნელი დავით ნოზაძე გვესაუბრა: „შოთა მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა, იმ მოსწავლეებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ დიდ ასპარეზზე, ისეთ შეჯიბრებებში, როგორებიცაა:

GENIUS ოლიმპიადა, რომელიც აშშ-ში ტარდება და მსოფლიო დონის თურქეთის საერთაშორისო ოლიმპიადა, ასევე, რობოტიკის საერთაშორისო შეჯიბრებები თურქეთში, ამერიკასა და გერმანიას, სადაც შოთა თანატოლებთან ერთად, საკმაოდ კარგად ახსენებს.

ორი წლის წინ ვაეცანი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა შოთა გამარჯვების საჯარო სკოლაში სწავლობდა. ვაფასებ რაიონში მცხოვრები ბავშვების შრომას და მონდომებას, განსაკუთრებით ვცდილობ მათ ხელშეწყობას. სამსუნხაროდ, მათ ქალაქელი თანატოლებივით ხელშეწყობა არ აქვთ, განსაკუთრებით მრავალშვილიანი ოჯახის შვილისთვის ძალიან რთულია, ამ სფეროში, რაიონში იმ დონის განათლება მიიღოს, რომელიც მსოფლიო ასპარეზზე გაეყვანს და, ქვეყნის სახელით, საქართველოს დროშას ააფრიალებს. თანამედროვე ტექნოლოგიების და რობოტიკის შესწავლა ძვირი სიამოვნებაა და გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ყველაფრისა, შოთა ამ ყველაფერს არ შეუშინდა და გარდაბნიდან, ყოველ შაბათ-კვირას, ახერხებდა ჩამოსვლას შეხვედრებსა და მეცნიერებებზე დასასწავლად. „ევროპული სკოლის“ ბაზაზე ის საუკეთესო მოსწავლეთა ერთობაშია სკოლაში გადიოდა



წერთებს და სწავლებას, სადაც ეზიარა იმ დიდ ინოვაციას, რასაც რობოტიკის დარგი ჰქვია, რის მიმართაც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. 2016 წლის სექტემბრიდან, მისმა მუშაობამ შედეგი გამოიღო და პირველად მიიღო მონაწილეობა თურქეთის რობოტიკის მე-13 საერთაშორისო შეჯიბრში, რომელიც ქალაქ სამსუნში გაიმართა, სუმო რობოტის კატეგორიაში. შოთა ყველაზე პატარა მონაწილე იყო და ეს მისთვის დიდი გამოწვევა, სტიმული და ღირსეული წარმატების დასაწყისი იყო. მართლაც, მან მალევე მოიპოვა კიდევ ერთი აღიარება – აშშ-ში ორგანიზებულ ჯენიუს ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება, სადაც მეგობრებთან ერთად იასპარეზა და შედეგიც კარგი აჩვენა. დიდ არენაზე, თავისი მეხანძრე რობოტით, 75 ქვეყანას და 256 მონაწილეს შორის, მეოთხე ადგილი დაიკავა. რა თქმა უნდა, ამ წარმატებამ სიხარული და კიდევ უფრო დიდი სტიმული მოუტანა შოთას“.

თანამედროვე დროში რობოტიკა გამოიყენება როგორც მეცნიერება და ტექნოლოგია რობოტების დიზაინის, წარმოებისა და გამოყენებისთვის. რობოტიკა, ინტერდისციპლინარული სფერო, მოიცავს მექანიკის, ელექტრონიკის და კომპიუტერული პროგრამების სფეროებს.

აღსანიშნავია, რომ რობოტიკის სასწავლო პროგრამები არ არის დამყარებული სასკოლო-სასწავლო პროგრამებზე, ამიტომ სინი განკუთვნილია სკოლის ნებისმიერი მოსწავლისთვის. პროგრამების მიზანია, მოსწავლეს შეაყვაროს ელექტრონიკა, რობოტიკა, პროგრამირება, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და გაუღვივოს მათ მიმართ ინტერესი. მოსწავლეები იწყებენ ინოვაციურ, ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას. გაკვეთილები განსაკუთრებული ინდივიდუალური მიდგომით გამოირჩევა. სპეციალურად შექმნილი სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი გარემო და ინტერაქციული მიდგომა იმ ატმოსფეროს ქმნის, სადაც მოსწავლე თვითონ არის დაინტერესებული ჩაერთოს პროცესში. პრაქტიკული მხარე მრავალმომცველი და შემოქმედებითია. მოსწავლეები აწყობენ რობოტებს, სხვადასხვა ელექტრულ სქემებს, კონსტრუქტორებსა და სხვ.

„ევროპული სკოლის“ ბაზაზე არსებული რობოტიკის სასწავლო ცენტრის წრეობრივ მუშაობაში ჩართვის შესაძლებლობა, „ევროპული სკოლის“ მოსწავლეების გარდა, სხვა სკოლის მოსწავლეებსაც აქვთ. აღსანიშნავია, რომ „ევროპული სკოლაში“, 2017 წლიდან, ყველა ასაკობრივ კლასში, სწავლება საგანი

რობოტიკა, რომლის სულსჩამდგმელი რობოტიკის დამსახურებული სპეციალისტი გიორგი უსანეთაშვილია.

„სწორედ გიორგისთან ერთად გადავდგი პირველი ნაბიჯები – ვიამბობს დავით ნოზაძე, - წლებთან ერთად დახვეწეთ სილაბუსები და განვაახლეთ პროგრამები, სწავლების ხარისხზე კონტროლი Futur Laboratory-ს დაეკისრა. საგაკვეთილო პროცესის გარდა, სკოლაში წრეობრივი მუშაობა მიმდინარეობს, სადაც საკითხით დაინტერესებული მოსწავლეები არიან გაერთიანებული და აქტიურად ჩართული ინოვაციურ საქმიანობაში. წრის წევრები მონაწილეობენ სხვადასხვა სახის გამოწვევებში, სადაც სკოლის გარდა, აქტიურად ვმუშაობ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, საბავშვო რობოტიკის მიმართულებით. ძალიან მიყვარს პედაგოგიური საქმიანობა და არასდროს მქონია სურვილი, ჩემი შესაძლებლობა სხვა მიმართულებით მომეხსენჯა, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ბავშვები და მათთან მუშაობა, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მინდა, ჩვენი მომავალი თაობა კარგად მომზადებული შეხვედეს თანამედროვე გამოწვევებს. მეგურა, რომ შოთა, თავისი შექმნილი, შეძლებს, საქართველოს თავი დაამახსოვროს. მას საკმაოდ დიდი შესაძლებლობები აქვს. მოვა დრო და შოთა საკუთარი ცოდნისა და უნარების რეალიზებას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ შეძლებს.“

აღსანიშნავია, რომ შოთას მონაწილეობა უნდა მიეღო რობოტიკის რამდენიმე დონის სიტუაციის გამო, გადაიღო – თურქეთის მე-14 საერთაშორისო შეჯიბრი (9-12 აპრილი) და ამერიკის მსოფლიო დონის შეჯიბრი, რომელიც ზაფხულში, ივნისში უნდა გამართულიყო, გაუქმდა.

ამჟამად, ისევე როგორც მისი თანატოლები, შოთაც სკოლიდან მოშორებით, დისტანციურად განაგრძობს სწავლა-განათლების მიღებას. გული საწყდება, რომ კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ დაგვემღიო საერთაშორისო შეჯიბრებში მონაწილეობის გეგმა ჩაუშალა. „კორონავირუსმა, როგორც ყველასთვის, ჩემთვისაც შეცვალა სწავლების სტილი და დისტანციურ სწავლებაზე გადავედი, რაც, სიმართლე გითხრათ, ძალიან არ მომწონს, რადგან არ მაქვს ახლო ურთიერთობა მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან. შეზღუდულია გაკვეთილების დროც. პანდემიის გამო, გაუქმდა საერთაშორისო რობოტიკის შეჯიბრებებიც. იმიტომ, ყველაფერი კარგად იქნება და მომავალში ჩემი მიზნების და ოცნებების განხორციელებას შევძლებ“.

ანტიკრიზისული გეგმის დატალახი

რეფორმა ახალ აქცენტებს იძენს

ანტიკრიზისული გეგმის პრეზენტაცია, განათლების მიმართულელებით, გახსნა პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარია...

„ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „ტელესკოლა“ ეს არის ფორმატი, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ენებზეც მუშაობს...

საშუალებით ჩატარდა ჩვეულებრივად, ნორმალურ რეჟიმში და მეთორმეტკლასელები სასწავლო წელს დაასრულებენ 20 მაისს...

„ეს არის ის მიღწევა, რომელიც განათლების სისტემამ, როგორც შედეგი, უკვე აჩვენა. თუმცა, ეს არის, მხოლოდ და მხოლოდ...

უნდა, ეს რეფორმა შეიძინას ახალ დამატებით აქცენტებს, რომელიც იქნება უფრო დისტანციურ სწავლებებზე ორიენტირებული...

ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ჯერჯერობით ზუსტად არავინ არ იცის პოსტ პანდემიური მსოფლიო როგორ იქნება...

გადაიწვიოს თუ არა ერთიანი ეროვნული გამოცდები აგვისტოში და როდის ჩატარდება ფინალური გამოცდები

განათლების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, ეროვნული გამოცდების შესახებ საუბრისას, აღნიშნა, რომ აბიტურიენტთა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით...

„დღევანდელი მდგომარეობით, ჩვენ ვამბობთ, რომ ეროვნული გამოცდები ჩატარდება იმავე ფორმატით და იმავე დროს, როგორც ტარდებოდა...“

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ სამინისტროს მთავარი ამოცანაა, ერთი მხრივ, მაქსიმალურად დაიცვას გამოცდებში მონაწილეთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება...

მიხეილ ჩხენკელმა ანტიკრიზისული გეგმა უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილის ნარმალდგინ და, პრეზენტაციის ფარგლებში, საზოგადოებას დისტანციური სწავლების მიმართულებით სამინისტროს მიერ უკვე გადადგმული ნაბიჯები...

„რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაუხადო პროფესორებსა და უნივერსიტეტების ხელმძღვანელებს...“

ფინალური გამოცდები უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ჩატარდება შეზღუდვების შემსუბუქების მექანიზმზე...

„უახლოეს მომავალში ონლაინ რეჟიმში გაიმართება რექტორთა საბჭო, სადაც ვიმსჯელებთ, როგორ განვაახლოთ ეტაპობრივად პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები...“

მინისტრმა აღნიშნა, რომ აუდიტორიის მიღმა დარჩენილი სტუდენტებისთვის განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, სისტემა ელექტრონული სწავლების რეჟიმზე გადავიდა...

უმაღლეს სასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაცია, ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საა-

გენტობის ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული ელექტრონული სწავლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით ეხელმძღვანელოთ...

ამ ეტაპისთვის, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები იყენებენ დისტანციური სწავლების ხელშემწყობ სხვადასხვა აპლიკაციებსა და ონლაინ პლატფორმებს: Zoom, Microsoft Teams, Moodle, Google Classroom...

აღსანიშნავია, რომ ის სასწავლო კურსები, რომლებიც პრაქტიკულ კომპონენტსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს მოიცავს, საუნივერსიტეტო სივრცეში დაბრუნებისას ინტენსიურ რეჟიმში ჩატარდება...

მინისტრმა საგანგებოდ განმარტა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცა რეკომენდაცია სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის საშუალებით პოლიტიკასთან დაკავშირებით...

რაც შეეხება, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის განსაზღვრულ გრანტებს, სტიპენდიებსა და პროგრამულ დაფინანსებას, სამინისტრო გადარიცხვის პროცედურებს შეუფერხებლად უზრუნველყოფს...

სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეები შეფასების ახალი მოდელით შეფასდებიან

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, ზოგადი განათლების მიმართულებით გამოწვევების გადაჭრის კონკრეტული გეგმების წარდგენისას, ყურადღება გაამახვილა წლის ბოლოს მოსწავლეთა შეფასების საკითხებზე...

დარტის შენარჩუნებასა და დაცვას. 2019-2020 სასწავლო წელს, მოსწავლეთა შესაფასებლად, განისაზღვრა შეფასების ორი საკლასიკო ფორმა – განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

„დისტანციური სწავლებისთვის ნამყან ექსპერტებთან ერთად შევიმუშავეთ შეფასების საინტერესო მოდელი, რომელიც საერთაშორისო გამოცდილებას ეფუძნება...“

ლია თითოეულ მოსწავლეზე და, ამავდროულად, შენარჩუნებულია აკადემიური სტანდარტი.

განმავითარებელი შეფასება არის მსოფლიოში აპრობირებული, რომელიც გამოიყენება ისეთ ნამყან ქვეყნებში, როგორებიცაა ფინეთი და ესტონეთი. იგი მასწავლებელს აძლევს საშუალებას, სიღრმისეულად შეაფასოს მოსწავლის აკადემიური დინამიკა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები...

ანტიკრიზისული გეგმის დატალახი

ჩვენ შევიშუშავთ შეფასების ალტერნატიული გზებიც: იმისთვის, რომ წავახალისოთ სკოლების ავტონომია და მათი დამოუკიდებლობის ხარისხი, შევთავაზებთ, თავად შეაფასონ მოსწავლის მოსწრება.

განმავითარებელი შეფასებისას

- ✓ მასწავლებელი სასწავლო წლის განმავლობაში აღწერს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, რაც ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მომდევნო სასწავლო წელს ეფექტიანი საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას.
- ✓ განმსაზღვრელი შეფასება
- ✓ აკონტროლებს სწავლების ხარისხს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში და მოსწავლის ცოდნის დონეს აფასებს შესაბამისი ქულებით.

მოსწავლის შესაფასებლად, სამინისტრომ შეიმუშავა შეფასების ალტერნატიული გზებიც. კერძოდ, მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის წლიურ ქულად განისაზღვრება მოსწავლის მიერ I სემესტრში მიღებული ქულა.

**მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის წლიურ ქულად განისაზღვრება მოსწავლის მიერ I სემესტრში მიღებული ქულის მეორე სემესტრის 6 კვირის განმავლობაში გავლილი პროგრამისა და დისტანციური სწავლების პროცესში მიღებული ცოდნის შეფასების საფუძველზე. მიხედვით ჩხენკელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამინისტრო დისტანციურ სწავლებას განიხილავს, როგორც სწავლების შეუფერხებლად გაგრძელების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, სამინისტროს მიერ შეიმუშავებული შეფასების ახალი მოდელი, პანდემიის პირობებში არსებულ რეალობასთან სრულ შესაბამისობაშია.**

✓ იქიდან გამომდინარე, რომ მეხუთე კლასის მოსწავლეებისთვის განმსაზღვრელი შეფასება იწყება II სემესტრიდან, 2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრის 6 კვირის განმავლობაში გავლილი პროგრამისა და დისტანციური სწავლების

პროცესში მიღებული ცოდნის შეფასების საფუძველზე გამოითვლება მეხუთეკლასელების წლიური ქულა.

✓ **იმ შემთხვევაში**, თუ მოსწავლეს 2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრის შეფასება არა აქვს, მოსწავლის წლიური ქულა განისაზღვრება 2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრის 6 კვირის განმავლობაში გავლილი პროგრამისა და დისტანციური სწავლების პროცესში მიღებული ცოდნის შეფასების საფუძველზე.

მიხედვით ჩხენკელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამინისტრო დისტანციურ სწავლებას განიხილავს, როგორც სწავლების შეუფერხებლად გაგრძელების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, სამინისტროს მიერ შეიმუშავებული შეფასების ახალი მოდელი, პანდემიის პირობებში არსებულ რეალობასთან სრულ შესაბამისობაშია.



✓ „განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებთ მომზადება-გადამზადების პროგრამებზე, რომლებიც ორიენტირებულია დასაქმებაზე“ – ანტიკრიზისული გეგმის პრეზენტაციის ფარგლებში, მინისტრმა პროფესიული განათლების მიმართულებით სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა.

✓ „განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებთ მომზადება-გადამზადების პროგრამებზე, რომლებიც ორიენტირებულია დასაქმებაზე. ჩვენ სწრაფი ტემპით შევძლებთ სტუდენტების მომზადებას იმ სამუშაოებისთვის, რომლებიც გაჩნდება ჩვენი დასაქმების ბაზარზე.“ – განაცხადა **მიხეილ ჩხენკელმა** მან იმის შესახებაც ისაუბრა, თუ რა ღონისძიებები გაატარებს სამინისტროს რეკომენდაციით, კორონავირუსის პანდემიის ფონზე, პროფესიულმა კოლეჯებმა და როგორ შეძლეს ნაწილობრივ დისტანციურ საფორმად რეჟიმზე გადასვლა. მარტივად აღსანიშნავია, განხორციელდა მომზადება-გადამზადების პროგრამების ერთი ნაწილის (IT, პროგრამირების ენების, ბუღალტერია, სასტუმროს მარკეტინგი/გაყიდვები) მორგება დისტანციური სწავლების ფორმატზე. კოლეჯების ადმინისტრაციები დისტანციურად ემზადებიან

ასევე, საშემოდგომო მიღებისთვის, ამუშავებენ პროგრამებს და გადიან ონლაინ ავტორიზაციას ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საგანგებოდ შექმნილი მექანიზმის მეშვეობით.

პროფესიულ სასწავლებლებში გრძელვადიან პროგრამებზე მიღება 20 მაისიდან, ხოლო სწავლა 12 ოქტომბრიდან დაიწყება. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გაზრდისთვის სამინისტრო უზრუნველყოფს ჩარიცხვის წესის ცვლილებას ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების გათვალისწინებით. იგეგმება 8700-მდე ადგილის შეთავაზება. იმ პროგრამებზე, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის გამო დროებით შეჩერდა, სწავლა აღდგება შემსუბუქების გეგმით გათვალისწინებულ IV ეტაპზე.

მომზადება-გადამზადების მოკლევადიან პროგრამაზე ამჟამად 137 პროგრამა და 2500 ადგილია ავტორიზებული.

სამინისტრომ ასევე ჩამოაყალიბა 17 დარგობრივი ქსელი, ონლაინ პლატფორმები, სადაც ერთი პროფესიის მასწავლებლები გაერთიანდნენ (მაგ. სოფლის მეურნეობის ქსელი, ტურიზმის ქსელი, სამშენებლო პროფესიათა ქსელი და ა.შ.). მათ მიერ მიმდინარეობს პროგრამების იმ კომპონენტების ანალიზი, რომელთა მიწოდება დისტანციურ რეჟიმშია შესაძლებელი

ლი. აღნიშნულის პილოტირება პირველი ივნისიდან დაიწყება. **როდის და როგორ შეძლებენ უფროსი მასწავლებლები გარე დაკვირვების გავლას?**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის №54/6 ბრძანებით განისაზღვრა, რომ მასწავლებლებს, რომლებმაც 2020 წლის 2 მარტიდან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შეჩერების გამო, ვერ შეძლეს გარე დაკვირვების გავლა, უფლება აქვთ, გარე დაკვირვებაზე რეგისტრაცია გაიარონ 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „გარე დაკვირვების გავლის ვადები განისაზღვრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.“

ამ სემესტრში გარე დაკვირვება 3721 უფროსი მასწავლებელს უნდა გაეკეთებინათ, მათგან 1064-მა უკვე გაიარა.

– **შეგახსენებთ, რომ გარე დაკვირვების გავლა აუცილებელია უფროსი მასწავლებლისთვის, რომელსაც სტატუსის ამადლება – წამყვანი მასწავლებლობა სურს.**



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის №54/6 ბრძანებით განისაზღვრა, რომ მასწავლებლებს, რომლებმაც 2020 წლის 2 მარტიდან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შეჩერების გამო, ვერ შეძლეს გარე დაკვირ-

ვების გავლა, უფლება აქვთ, გარე დაკვირვებაზე რეგისტრაცია გაიარონ 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „გარე დაკვირვების გავლის ვადები განისაზღვრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუ-

ალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.“

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე. **შეგახსენებთ, რომ გარე დაკვირვების გავლა აუცილებელია უფროსი მასწავლებლისთვის, რომელსაც სტატუსის ამადლება – წამყვანი მასწავლებლობა სურს.**

## 2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდაზე აბიტურიენტების არჩევანი საბნების მიხედვით სწორილია

- ◆ ისტორია – აირჩია 22 850-ზე მეტმა აბიტურიენტმა;
- ◆ მათემატიკა – აირჩია 12 660-ზე მეტმა აბიტურიენტმა;
- ◆ ბიოლოგია – აირჩია 3250-მდე აბიტურიენტმა;
- ◆ გეოგრაფია – აირჩია 1040-ზე მეტმა აბიტურიენტმა;
- ◆ ზოგადი უნარები – აირჩია 4500-ზე მეტმა აბიტურიენტმა;
- ◆ ლიტერატურა – აირჩია 920-ზე მეტმა აბიტურიენტმა;
- ◆ სამოქალაქო განათლება – აირჩია 430-ზე მეტმა აბიტურიენტმა;
- ◆ ქიმია – აირჩია 2340-ზე მეტმა აბიტურიენტმა;
- ◆ ფიზიკა – აირჩია 200-ზე მეტმა აბიტურიენტმა;
- ◆ ხელოვნება – აირჩია 50-ზე მეტმა აბიტურიენტმა.



# ლაშქრობები

ჩვენი გაზაფხულის მე-16 ნომერი შედგება ზეთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტის, გიბა გვამაყვილის რეკომენდაციები, დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე სწავლების პროცესში, სპორტის მასწავლებლების დასახარებლად. რეკომენდაციებს შორის ერთ-ერთი იყო ლაშქრობებისთვის მზადება. დღეს გთავაზობთ ვანის რაიონის სოფელ ზინდარის საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებლის, დალი გოგონიძის წერილს, რომელიც სწორედ ლაშქრობებს ეძღვნება.

სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების მესამე აქტივობაა ლაშქრობების თემა, რომელიც ასევე შევთავაზებთ სკოლებს და ელექტრონული ვერსიაც ავტორიტეტ ჩვენს გვერდზე. ეს ითვალისწინებს თეორიულ მეცადინეობას ლაშქრობებისთვის მოსამზადებლად: როგორი ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი უნდა ჩაიცვან ამ დროს, ბარგის ჩალაგება, გადაადგილება და ა.შ., რადგან ჩვენს პრაქტიკაში მქონდა შემთხვევები, როცა მოვანყვეთ ლაშქრობა და ზოგიერთი მასწავლებელი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით მოვიდა, ზოგმა ბავშვმა კი, შუა ლაშქრობისას, გაზიანა სასმელი ამოიღო და სხვა... ლაშქრობებისთვის მოსამზადებლად ინფორმაციის მიღება, ჩვენი გვერდიდან, შეუძლიათ მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც. ეს სხვა აქტივობების პარალელურად ხდება და შეიძლება, მასწავლებელმა 1-2 კვირა დახარჯოს ამ თემაზე მუშაობაში, ლაშქრობა კი, პრაქტიკულად, მოგვიანებით განახორციელოს, როცა სკოლებში ჩვეულებრივად აღდგება სწავლა, თუმცა თეორიულად მომზადება აქედანვე შეუძლიათ. ლაშქრობა ბევრისთვის მწვადის შეწვასთან და ქეიფთან ასოცირდება, რასაც ექსცესებიც ახლავს თან, ჩვენ კი უფრო საგანმანათლებლო კუთხით შევთავაზებთ ეს თემა.

## შევაყვაროთ პატარებს ბუნება

„ვინც დედამიწის მშვენიერებას შეიცნობს, დაიმუხტება ძალით, რომელიც მთელი ცხოვრება გაჰყვება.“  
/რამელ ქარსონი/

ლაშქრობა ბუნებასთან ურთიერთობის, დასვენებისა და განტვირთვის შესანიშნავი საშუალებაა. ლაშქრობის კულტურა, თავდაპირველად, ამერიკაში ჩაისახა, იქიდან კი ევროპაში გავრცელდა. საქართველოს დიდი ბუნებრივი რესურსი აქვს სალაშქროდ და ეს რესურსი წარმატებით უნდა გამოვიყენოთ, რათა ჩვენს პატარებს თავიდანვე შევავაროთ ბუნება, ვასწავლოთ მისი სილამაზის დანახვა, დაცვა და გაფრთხილება, მით უმეტეს ადამიანებს, გარემომცველი ბუნების გარდა, არსებობის სხვა წყარო არ გააჩნიათ.

სუფთა ჰაერი და ანკარა წყალი, მზის სხივები და ყვავილების არომატი, მსუბუქი სიო და დილის ნამი, ფრინველთა გალობა და მობიზინე ბალახი ეს ის ძაფებია, რომლებიც ადამიანს ბუნებასთან, გარე სამყაროსთან აკავშირებს.

ყველაზე მთავარი, რასაც ბუნებასთან ურთიერთობა აძლევს ბავშვს, არის შეცნობა იმისა, რომ იგი არ არის მარტო, ის დიდი სამყაროს ნაწილია.

როცა ბუნების სილამაზეზე ვსაუბრობ, არ შეიძლება გვერდი ავუარო „ამომავალი მზის ქვეყნის“ მიდგომას ამ საკითხის მიმართ. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, იაპონია, რომელსაც ხელთ ტექნოლოგიების განვითარების ბერკეტები უპყროა, პირველი ინტერესის საგნად და მომავლის შესანარჩუნებლად სილამაზის განვითარებას მიიჩნევს. ამისთვის კი, განუხრებლად მიემართება „ნი... წარსულისაკენ“, იქით, სადაც პირველყოფილი ადამიანი იჯდა და ბუნებას შეჰხაროდა. ბუნების სილამაზის ძიებით ეს ქვეყანა იმდენად არის შეპყრობილი, რომ იაპონიის სკოლებში მოსწავლეებს „ბუნებით ტკობის“ გაკვეთილები უტარდებათ. საგნის მიზანია ბუნების მნიშვნელობის ახსნა, სწავლება და დაფასება მისი სილამაზის, რასაც კომპიუტერის ეპოქაში ადამიანები უბრალოდ ვერ ამჩნევდნენ. ამ გაკვეთილებზე მოსწავლეები ბუნებრივ მოვლენებს აკვირდებიან, მისი სილამაზით ტკობიან, მცენარეებისა და ცხოველების ჰარმონიულობასა და მშვენიერებას აღწერენ. ამგვარად, გარემოს სილამაზე გზას სულის სიღრმეში და პოულობს. ბუნებაზე დაკვირვებაში იაპონელი ბავშვები ნიშნებს იღებენ და წლის ბოლოს გამოცდასაც აბარებენ.

იაპონიაში, ყოველწლიურად, იმართება სასადოს შემოდგომის ფესტივალი, რომლის ერთ-ერთი დანიშნულება სასადოს პარკში ნივთიერი ნეკერჩხლის ფოთლების მზერით ტკობაა. როცა ფოთოლი ხეს სწყდება, არ არსებობს იაპონელი, რომელიც არ გაჩერდება და არ დაელოდება, როდის დაესვენება იგი მინაზე. ასევე არ არსებობს არც ერთი იაპონელი, რომლისთვისაც იაპონური ალუბლის, საკურას ყვავილობა დღესასწაული არ იყოს.



იაპონიაში ოფიციალურად არსებობს „ციცინათელების მოვლისა და შენახვის საზოგადოება“. ხალხი დილით ადის მთაში, მთელი ღამე ციცინათელების ცქერით ტკბება და მეორე დილით ბრუნდება შინ. ეს დღე მათთვის სიხარულისა და სამყაროს შერწყმის დღეა.

ვფიქრობ, საკითხისადმი ასეთი მიდგომა პლანეტის არც ერთ ქვეყანას არ აწყენდა. ჩვენ ვალდებული ვართ, იაპონიისგან ვისწავლოთ ეს.

რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, პედაგოგებმა იმისათვის, რომ ჩვენს მოსწავლეებსაც დავანახოთ ბუნების მომხიზველობა, ავამაღლოთ მათი გარემოსდაცვითი კულტურა, შევავაროთ ბუნება და მინიმუმამდე დავიყვანოთ ის ზარალი, რომელსაც ადამიანი აყენებს მას.

მართალია, ცალკეული საგანი თუ კლასის საათი იძლევა იმის საშუალებას, რომ ვესაუბროთ ბავშვებს ბუნების სილამაზე და მის მნიშვნელობაზე, მაგრამ როგორ შევავაროთ ბავშვებს ბუნებას, თუ არა მასთან სიახლოვით? საამისოდ კი, ლაშქრობა ყველაზე მისაღები ფორმაა. თანაც აქტიური, თავგადასავლებით სავსე ლაშქრობა აგრეთვე კარგი საშუალებაა ყოველდღიური რუტინული სასკოლო ცხოვრების გასახალისებლად.

სალაშქროდ მომზადება, ერთი შეხედვით, შეიძლება მარტივად მოგვეჩვენოს, მაგრამ პედაგოგმა ბევრი რამ უნდა გაითვალისწინოს, სანამ მოგზაურობას შეუდგებოდეს და მოსწავლეებს შეაჩვიოს სალაშქროდ სერიოზულ მზადებას. პირველ რიგში, მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეისწავლოს სალაშქრო ადგილი. შემდეგ, მზად უნდა გვექონდეს საჭირო ნივთების ნუსხა, რომ რაიმე არ გამოგვრჩეს:

- ✓ აფთიაქი – პატარა ყუთი პირველი დახმარების ნივთებით;
- ✓ საკვები – ლაშქრობა დიდ ენერჯიას მოითხოვს და უმჯობესია კალორიული საკვები, ოღონდ არა მალფუჭებადი;
- ✓ წყალი;
- ✓ ტანსაცმელი – ერთი წყვილი, საჭიროების შემთხვევაში, კეპი, სათვალე, საწვიმარი;
- ✓ მზისგან დამცავი საშუალება – თუ საჭიროა;
- ✓ ფეხსაცმელი – შემთხვევით ფეხი რომ დაგისველდეთ;
- ✓ ჯიბის დანა – ყველაფრისთვის მზად რომ იყოთ;
- ✓ ასანთი;
- ✓ მობილური;
- ✓ კამერა – საინტერესო მომენტების ფირზე აღსაბეჭდად;
- ✓ უბის ნივთი – შთაბეჭდილებათა ჩასანერად;
- ✓ სასტენი – იმ შემთხვევაში, თუ დაიკარგეთ.

ეს სია თქვენი საჭიროების მიხედვით შეგიძლიათ გაზარდოთ, რომ ლაშქრობამ სასიამოვნოდ ჩაიაროს. სანამ ლაშქრობას შეუდგებოდეთ, თვალი გადაავლოთ სამახსოვროს, რომ უკეთ მომზადებული გავუდგეთ გზას.

➔ ყოველთვის ჩალაგეთ ჩანთა გამგზავრების წინა საღამოს. დილისთვის ნუ მოიტოვებთ საქმეს;

➔ კიდევ ერთხელ გადაამოწმეთ ჩანთაში მოთავსებული ნივთები, რომ რაიმე არ გამოგვრჩეთ;

➔ გამგზავრების წინ, კიდევ ერთხელ შეამოწმეთ ამინდის პროგნოზი;

➔ მოიხიეთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია იმ ადგილის შესახებ, სადაც მიდიხართ;

➔ გადაამოწმეთ თქვენი ტელეფონი, დაზედარი რომ არ იყოს.

ლაშქრობა, გარდა იმისა, რომ უდიდესი სიამოვნების მომნიჭებელია, საუკეთესო საშუალებაა, შევცვალოთ ადამიანის დამოკიდებულება ბუნების მიმართ. მით უმეტეს, სამწუხაროდ, ყველგან ვხვდებით ბუნების მიმართ ადამიანის უდიერი დამოკიდებულების ფაქტებს. ლაშქრობისას, პირველ რიგში, ვასწავლოთ ბავშვებს დაიცვან მთავარი წესი: „ნუ მიაყენებთ ზიანს!“. დღესდღეობით, ადამიანებს თვითგანადგურების ნამზომი აქვთ ჩართული. მართალია, გარემოსდაცვითი ღონისძიებებიც მრავლადაა, მაგრამ საინააღმდეგო ქმედებათა ჩამონათვალი, სამწუხაროდ, უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანია. მის ბინადართაგან არც ერთი ცოცხალი არსება ისეთ ზიანს არ აყენებს მშობლიურ პლანეტას, როგორსაც ჩვენ, „ცივილიზებული და მოაზროვნე“ არსებები.

მწერალ სტივენ ფრაის აზრით, „თუ ირგვლივ მიმოვიხედავთ, ნებისმიერი სიუშნოვე ჩვენ ირგვლივ ადამიანის ხელით არის შექმნილი; ეს არგუმენტი ხელს უწყობს საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს იმაზე, რომ ბუნება განუსაზღვრელად ლამაზია. ის ფაქტი, რომ ბუნების სილამაზე ადამიანის ხელოვნების აღმადგენის უდიდესი წყარო იყო ოდითგანვე, კიდევ უფრო აძლიერებს ბუნებასა და სილამაზეს შორის ასოციაციას“. ამ აზრს იზიარებს მრავალი მეცნიერიც. ფრანგ მათემატიკოსს, ჟოულ ანდრე პუანკარეს, უთქვამს:

„მეცნიერი ბუნებას იმიტომ არ სწავლობს, რომ ეს მისთვის სასარგებლოა; მეცნიერი ბუნებას სწავლობს, რადგან ის ალფთოვანებს მას, ის ალფთოვანებულია მისით, რადგან ის ლამაზია. ბუნება ლამაზი რომ არ იყოს, ის შესწავლის ღირსი არ იქნებოდა, და ბუნება შესწავლის ღირსი რომ არ იყოს, სიცოცხლე ცხოვრების ღირსი არ იქნებოდა“ და იქნება თუ არა სიცოცხლე ცხოვრების ღირსი, ეს ჩვენ ხელთაა და ნურაფერს დავიშურებთ ამისათვის.

ყოველი წლის 22 აპრილს მთელი მსოფლიო აღნიშნავს დედამიწის დღეს. ჩვენი ვალია, ყოველი დღე დედამიწის დღედ ვაქციოთ.

ჯერი ჩვენზეა კოლეგებო. ჩვენ ბუნებას ვერავის შევავარებთ აბსტრაქტული აღწერილობით. რაც შეიძლება მეტად უნდა გავიდეთ ბუნებაში ბავშვებთან ერთად. ბავშვებს შეუძლიათ გულწრფელად შეიყვარონ ბუნება, თუ ჩვენ სათანადოდ ვიზრუნებთ ამისთვის.

## დალი გოგონიძე

ვანის რაიონის სოფელ ზინდარის საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა  
<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90>  
<https://www.kvirispalitra.ge/teqnologiebi/11407-ipove-silamaze.html>  
<https://edu.aris.ge/news/uchveulo-gakvetilebi-msoflios-sxvadasxva-qveyanashi.html>  
<https://ik-ptz.ru/ka/diktanty-po-russkomu-vazyku--2-klass/lyudi-kotorye-lyubyt-prirodu-nazyvayutsya-stoit-li-lyubit.html>

